

შრომისა და მეწარმეობის თავისუფლება საგანგებო მდგომარეობის დროს

საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი N1 - ით შეიზღუდა კონსტიტუციის 26-ე მუხლი - **შრომის თავისუფლება, პროფესიული კავშირების თავისუფლება, გაფიცვის უფლება და მეწარმეობის თავისუფლება**. დეკრეტმა საქართველოს მთავრობას მიანიჭა უფლებამოსილება, დადგენილებით განსაზღვროს:

- კერძო სამართლის სუბიექტებს აუკრძალოს, შეზღუდოს ან დაავალოს ცალკეული საქმიანობის განხორციელება;

- ფიზიკური და იურიდიული პირებისა და საჯარო დაწესებულებების მიერ სანიტარიულ-ჰიგიენური წესების დაცვის სპეციალური წესები;

- აუცილებლობის შემთხვევაში, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვან მედიკამენტებზე, სამედიცინო პრეპარატებზე, მომსახურებასა და პირველადი მოხმარების პროდუქტებზე ფასების რეგულირება;

- შესაბამისი სამედიცინო განათლებისა და უფლებამოსილების მქონე პირების მობილიზაციის პირობები.

- ადრეული და სკოლამდელი აღზრდის, ზოგადი, პროფესიული, სპეციალური პროფესიული და უმაღლესი განათლების სპეციალური წესები და პირობები.

2020 წლის 23 მარტს, საქართველოს მთავრობამ № 1 დეკრეტის საფუძველზე მიიღო N181 დადგენილება Ḍ□□□□□□□□□□□ ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ □□ მთავრობის დადგენილებით დაწესდა შეზღუდვები შემდეგ საქმიანობაზე:

1. ნებისმიერი საქონლის/პროდუქტის მიწოდება/რეალიზაცია.

~~ჩერდება ნებისმიერი საქონლის/პროდუქტის მიწოდება/რეალიზაცია, გარდა:~~

- სურსათის/ცხოველის საკვები;

- ცხოველის, ცხოველური და მცენარეული პროდუქტები;

- საყოფაცხოვრებო ქიმიისა და ჰიგიენის პროდუქტები;

- ვეტერინარული პრეპარატების, პესტიციდებისა და აგროქიმიკატების, სათესლე და სარგავი მასალების პროდუქტები;

- სამედიცინო დანიშნულების საქონელი, ფარმაცევტული პროდუქტი;

- პრესის ჯიხურები;

- საქონლის/პროდუქტის საცალო/საბითუმო მიწოდება, თუ საცალო რეალიზაცია ხორციელდება ადგილზე მიტანის მომსახურებით, ხოლო საბითუმო რეალიზაცია კი ადგილზე მიტანის მომსახურებით ან ადგილიდან გატანით მომხმარებლის სარეალიზაციო სივრცეში დაშვების/წვდომის გარეშე.

ობიექტები, რომლებიც აწარმოებენ/გადაამუშავებენ სურსათს, ვალდებულნი არიან, დაიცვან შემდეგი პირობები:

- სურსათის წარმოების დროს მკაცრად იქნეს დაცული ტემპერატურული რეჟიმები;

- პერსონალის მიერ გამოყენებულ იქნეს პირბადე, თავსაბურავი და ხელთათმანი;

- პერსონალის მიერ პირადი ჰიგიენისა და დეზინფექციის წესები;

- საწარმოო ადგილის გაზრდილი დეზინფექციის წესები;

- სამუშაოს დაწყებამდე პერსონალის ჯანმრთელობის მდგომარეობის კონტროლის პირობები.

ობიექტები, რომლებიც უზრუნველყოფენ მომხმარებლისთვის ე.წ. მიტანის სერვისით სურსათის მიწოდებას, ვალდებულნი არიან, დაიცვან შემდეგი პირობები:

- სურსათის მიწოდების პროცესში ჩართული პერსონალის აღჭურვილი პირბადითა და ხელთათმანით აღჭურვის პირობები;

- სურსათის მოთავსებისა და გამოსაყენებელი ინვენტარის რეცხვა-დეზინფიცირება წესები;

- სურსათის ტრანსპორტირებისას ტემპერატურული რეჟიმის პირობები.

ობიექტები, რომლებიც ახორციელებენ საცალო/საბითუმო ვაჭრობის ობიექტებში მომხმარებლისთვის პროდუქციის მიწოდებას, ვალდებულნი არიან, დაიცვან შემდეგი პირობები:

- სურსათის მიწოდების პროცესში ჩართული პერსონალის აღჭურვილი პირბადითა და ხელთათმანით აღჭურვის პირობები;

- სურსათის მოთავსებისა და გამოსაყენებელი ინვენტარის რეცხვა-დეზინფიცირება წესები;

- მიმწოდებელსა და მომხმარებლების მიერ სოციალური დისტანციის (არანაკლებ 2 მეტრისა) დაცვა.

1. რესტორნების, საზოგადოებრივი კვების ობიექტების, საწარმოებში/ორგანიზაციებში არსებული კვების ობიექტების საქმიანობა.

ამ დაწესებულებების მიერ დასაშვებია მხოლოდ ადგილზე მიტანის ან პროდუქტის სატრანსპორტო საშუალებით გატანის მომსახურებით სარეალიზაციო სივრცეში მომხმარებლის დაშვების გარეშე.

1.

საკლუბო და გასართობ-დასასვენებელი ცენტრების, კინოთეატრების, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრების, სილამაზის სალონებისა და ღამის კლუბების საქმიანობა.

საგანგებო მდგომარეობის ვადით დასაშვებია აზარტული და მომგებიანი თამაშობების მომსახურების მიწოდება მხოლოდ ელექტრონული ფორმით.

~~იმ პირებს, რომელთაც არ ეზღუდებათ ეკონომიკური საქმიანობა, მიუხედავად ფორმისა და სახისა, საქმიანობა უნდა განხორციელონ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად.~~

დეკრეტი ითვალისწინებს, საგანგებო მდგომარეობის დროს, წესების დარღვევისათვის შესაბამის სანქციებს, კერძოდ: ფიზიკური პირები, რომლებიც დაარღვევენ დეკრეტითა და საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული საგანგებო მდგომარეობის რეჟიმს, დაჯარიმდებიან 3 000 ლარის ოდენობით, ხოლო იურიდული პირები 15 000 ლარის ოდენობით.

იმავე ქმედების განმეორებით ჩადენა კი გამოიწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, კერძოდ, თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე ვადით, ხოლო ამ პუნქტით გათვალისწინებული ქმედებისათვის იურიდიული პირი ისჯება ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან ლიკვიდაციითა და ჯარიმით.